გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 39
2025 წლის 14 მარტი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს სამუშაო გეგმა დგება კვარტლების მიხედვით. საკრებულოს ყოველი კვარტლის ბოლო მორიგ სხდომაზე შეიტანება საკითხი მომდევნო კვარტლის სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე შეადგინა საკრებულოს კვარტალური გეგმა, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა №1 დანართის შესაბამისად (თან ერთვის ორ ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დანართი 1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხი	შესრულების დრო	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი
1	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2024 წლის აპრილიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში	აპრილი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია **ლეილა მამულაშვილი**
2	ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს2024 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	აპრილი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
3	გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ	აპრილი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**
4	საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გორის სერვის-ცენტრის ინფორმაცია 2024 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული სამუშაოს შესახებ	აპრილი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
5	შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ ტაშისკარი-სალთვისის სერვის ცენტრის მიერ, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2025 წლის სარწყავი სეზონისთვის მზადების შესახებ ინფორმაცია	აპრილი	ქონების მართვის ,ბუნებრივი რესურსების , აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია **მერაბ მელანაშვილი**
6	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ,, მერიის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდანაციის განყოფილების“ მიერ 2024 წლის მაისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში	მაისი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია **ლეილა მამულაშვილი**

7	ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2024 წლის აპრილიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	მაისი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
8	შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი" -ს გორის სერვის ცენტრის ინფორმაცია 2024 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული სამუშაოს შესახებ	მაისი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
9	გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ	მაისი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**
10	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2024 წლის ივნისიდან განვლილი პერიოდის ანგარიში	ივნისი	ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია **გიორგი გოგშელიძე**
11	ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის სააგენტოს 2024 წლის ივნისიდან მომდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში	ივნისი	სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია **მანუჩარ ლაფაჩი**
12	ა(ა) იპ მიუსაფარ შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2024 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით საქმიანობის ფინანსური ანგარიში	ივნისი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია **ასმათ ტალახაძე**